მსოფლიო თეატრის დღის გზავნილი 2018 - ევროპა

საიმონ მაკბერნი, გაერთიანებული სამეფო

მსახიობი, მწერალი, თეატრის რეჟისორი და Théâtre de Complicité-ს თანადამფუძნებელი

ჩრდილოეთ ლიბიაში, სირენეიკას სანაპიროდან ნახევარი მილის მოშორებით არის უზარმაზარი ქვის გამოქვაბული. 80 მეტრი სიგანისა და 20 მეტრი სიმაღლის. ადგილობრივ დიალექტზე მას - Hauh Fteah ეწოდება. 1951 წლის რადიოკარბონული მეთოდით მიღებულმა ანალიზებმა აჩვენა ადამიანის სულ ცოტა 100,000 წლის უწყვეტი ბინადრობა. არტეფაქტებს შორის აღმოაჩინეს ძვლისგან გაკეთებული ფლეიტა დათარიღებული სადღაც 40 და 70,000 წლით. როდესაც ეს ამბავი გავიგე, პატარა ბიჭი ვიყავი და მამას ვკითხე:

„მათ მუსიკა ჰქონდათ?“

მან გამიღიმა:

„როგორც ყველა ადამიანურ საზოგადოებაში“.

იგი იყო ამერიკაში დაბადებული პრეისტორიკოსი, რომელმაც პირველმა ჩაატარა არქეოლოგიური სამუშაოები ამ გამოქვაბულში.

ჩემთვის ძალიან დიდი პატივია და მოხარული ვარ რომ მსოფლიო თეატრის დღეს, 2018 წელს წარმოვადგენ ევროპას.

1963 წელს, ჩემმა წინამორბედმა, დიდმა არტულ მილერმა თქვა, რომ ბირთვული ომის საფრთხე მსოფლიოს მძიმე ტვირთად აწევს: „როდესაც გიწევს წერა დროში,

სადაც დიპლომატია და პოლიტიკა არის ასეთი უსუსური, ხელოვნებამ უნდა იტვირთოს ადამიანური საზოგადოების კვლავ გაერთიანება, ერთად ყოფნა“.

სიტყვა დრამის მნიშვნელობა მომდინარეობს ბერძნული სიტყვისგან - “dran”, რაც „მოქმედებას“ ნიშნავს და მსოფლიო თეატრი სათავეს იღებს ბერძნული სიტყვისგან - “Theatron”, რაც სიტყვასიტყვით „სანახავ ადგილს” ნიშნავს. ეს არის ადგილი, სადაც ჩვენ არა მხოლოდ ვუყურებთ, არამედ ვხედავთ და ვიგებთ. 2400 წლის წინ, პოლიკლეიტოს უმცროსმა დააპროექტა ეპიდავროსის თეატრი. ღია სივრცეში თეატრის გასაოცარი აკუსტიკა, სადაც 14,000 მაყურებელი ეტევა - წარმოუდგენელია. სცენის ცენტრში გამართულ აგონს, თქვენ ამ 14,000 ადგილიდან ნებისმიერ წერტილში გაიგონებთ. როგორც წესი, როდესაც შენ უყურებდი მსახიობს ბერძნულ თეატრში, შენ მის მიღმა ხედავდი პეიზაჟს. ეს აერთიანებდა არამხოლოდ რამდენიმე ადგილს: საზოგადოებას, თეატრსა და ბუნებას, არამედ ყველა დროს. როგორც წარმოდგენა აცოცხლებდა უძველეს მითებს მოცემულ მომენტში, შენც შეგეძლო შეგეხედა სცენისთვის და მიმხვდარიყავი თუ რა იქნებოდა შენი საბოლოო მომავალი - ბუნება.

ერთ-ერთი ყველაზე აღსანიშნავი ფაქტი ლონდონში, შექსპირის „გლობუსის“ თეატრის რეკონსტრუქციისა გახლდათ, რომ ისე გეკეთებინათ როგორც ხედავთ. ეს გასხივოსნება სინათლესთანაა დაკავშირებული. ორივე, სცენაც და მაყურებელიც ერთნაირად განათებულია. შემსრულებლებს და მაყურებელს ერთმანეთის დანახვა შეუძლიათ. ყოველთვის, ყველგან სადაც არ უნდა გაიხედო - ხალხია. და ერთ-ერთი შედეგია ის, რომ შეგვახსენონ დიადი მონოლოგები, მაგალითად ჰამლეტის ან მაკბეტის, რაც არ იყო მარტოოდენ მათი პირადი ფიქრები, არამედ იყო საჯარო დებატები.

ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, სადაც ნათლად დანახვა არ არის იოლი. ჩვენ გარშემორტყმულნი ვართ უფრო მეტად შეთხზული რეალობით, ვიდრე ოდესმე ისტორიის ან პრეისტორიის განმავლობაში. ნებისმიერი „ფაქტი“ შეიძლება

დაექვემდებაროს კრიტიკას, ნებისმიერ ანეგდოტს შეიძლება გაუჩნდეს პრეტენზია „ჭეშმარიტებაზე“. გამოგონილი რეალობა არის მუდმივად ჩვენს ირგვლივ, რომელიც იმის ცდაშია, როგორმე ერთმანეთისგან და სიმართლისგან გაგვთიშოს, რომ ჩვენ ვართ ცალ-ცალკე. ქალი - კაცისგან. ადამიანი - ბუნებისგან.

მაგრამ ისევე, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ განცალკევების დროში, ფრაგმენტაციის დროში, ჩვენ ასევე დიდი მოძრაობის დროშიც ვცხოვრობთ. კაცობრიობის ისტორიაში, ახლა ყველაზე მეტად ადამიანები არიან მოძრაობაში. ხშირად გარბიან, მიდიან, მიცურავენ თუ საჭიროა, მიგრირებენ მსოფლიოს გარშემო. და ეს მხოლოდ დასაწყისია. პასუხი, როგორც ვიცით, იყო რომ დაგვეხურა საზღვრები. აგვეშენებინა კედლები. ვყოფილიყავით იზოლაციაში. ჩვენი სამყაროს წესრიგი ტირანულია, სადაც ვალუტა - გულგრილობაა და იმედი კონტრაბანდული ტვირთი. და ამ ტირანიის ნაწილი არის არა მხოლოდ სივრცის კონტროლი, არამედ დროისაც. ჩვენ ვცხოვრობთ დროში, რომელიც თავიდან იცილებს აწმყოს. იგი კონცენტრირებულია უახლოეს წარსულსა და მომავალზე. მე ეს არ მაქვს და მე ამას ვიყიდი.

როდესაც უკვე ვიყიდე, მინდა შემდეგი... ღრმა წარსული წაშლილია. მომავალი მნიშვნელობის გარეშეა.

ბევრია ისეთი, ვინც ამბობს, რომ თეატრი ამას არ ან ვერ შეცვლის. მაგრამ, თეატრი არ გაქრება. იმიტომ რომ თეატრი ადგილსამყოფელია, თავშესაფარი. სადაც ადამიანები იკრიბებიან და ამ მომენტში აყალიბებებენ საზოგადოებას. როგორც ჩვენყოველთვის ვაკეთებდით. ყველა თეატრი არის პირველი ადამიანური თემის ზომის, 50 კაციდან 14,000-მდე. მომთაბარე ქარავანიდან ძველ ათენამდე.

და იმიტომ რომ თეატრი არსებობს მხოლოდ მოცემულ მომენტში, იგი ამ საშინელი დროის გამოწვევის წინაშეც დგას. მოცემული მომენტი, ყოველთვის თეატრის თემაა. მას მნიშვნელობა ეძლევა პერფორმერსა და მაყურებელს შორის კომუნიკაციით. არა მარტო აქ, არამედ ახლაც. პერფორმერმა უნდა ითამაშოს, რათა მაყურებელმა

დაიჯეროს. მაყურებლის რწმენის გარეშე, წარმოდგენა ვერ იქნება სრული. ჩვენ ვიცინით ერთიდაიგივე დროს, ვართ შეძრულები, გვიხშირდება სუნთქვა და ვართ გაოცებულები სიჩუმეში. და ამ მომენტში, დრამის მეშვეობით, ჩვენ აღმოვაჩენთ ყველაზე ღრმა ჭეშმარიტებას: რომ ის, რაც ჩვენი პირადი ფიქრი გვეგონა, საზღვარი ჩვენი ინდივიდუალური ცნობიერებისა, არის საზღვრების გარშე. ეს არის რაღაც, რასაც ჩვენ ვიზიარებთ.

ისინი ჩვენ ვერ შეგვაჩერებენ. ყოველ ღამით ჩვენ ხელახლა დავიბადებით. ყოველ ღამე მსახიობები და მაყურებელი კვლავ ერთ მთლიანობად იქცევა. რადგან, როგორც მწერალი ჯონ ბერგერი ამბობს: სადღაც სიღმეში თეატრის ბუნება არის რიტუალის ხელახლა დაბრუნების მცდელობა, რის გამოც იგი ყოველთვის ხელოვნების განდევნილი ფორმა იყო, რომელიც ჩვენი სამყაროს დაშლა-აწყობით, გვქმნის ჩვენ. ნებისმიერ ადგილას, სადაც არის შემსრულებელი და მაყურებელი ამბავი ამოქმედდება, რომელიც არ ითქმება არსად გარდა ამ ადგილისა, არც ოპერის თეატრებში და არც მეგაპოლისების დიდ თეტრებში, ან მიგრანტებისა და ლტოლვილთა ბანაკებში ჩრდილოეთ ლიბიაში და მთელ მსოფლიოში. ჩვენ ყოველთვის ერთად შეკრულნი ვიქნებით, თანაზიარად, ამ ამბების ხელახლა ამოქმედებაში.

ეპიდავროსის თეატრში რომ ვყოფილიყავით, მაღლა ავიხედავდით და დავინახავდით, თუ როგორ ვიზიარებთ ამ ყველაფერს უფრო ფართო ხედით. რომ ჩვენ მუდამ ბუნების ნაწილი ვიქნებით და ვერ გავექცევით ამას, ისევე როგორც ვერ გავექცევით ჩვენს პლანეტას. „გლობუსში“ რომ ვყოფილიყავით, ჩვენ დავინახავდით აშკარად პირადულ კითხვები, როგორ არის დასმული ყოველი ჩვენგანისთვის. და თუ ჩვენ ხელში დავიჭერდით სირენეიკას ფლეიტას, 40,000 წლის წინანდელს, ჩვენ გავიგებდით წარსულს და რომ აწმყო მისგან განუყოფელია და იმასაც რომ ადამიანური საზოგადოების ჯაჭვს, ვერასდროს გაწყვეტენ ტირანები და დემაგოგები.

Translation Ana Kvinikadze

Biography/ **საიმონ მაკბერნი, გაერთიანებული სამეფო**

პიტერ ბრუკი: „ინგლისურ თეატრს აქვს მშვენიერი და ღირსეული ტრადიცია. **საიმონ მაკბერნი** და თეატრალური კომპანია **Complicite** არ არის ამის ნაწილი. მათ შექმნეს საკუთარი ტრადიცია და სწორედ ამიტომ ვართ ასეთი განსაკუთრებულნი და ღირებულნი“.

მსახიობი, მწერალი, თეატრის რეჟისორი და Théâtre de Complicité-ს თანადამფუძნებელი საიმონ მაკბერნი, დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პიროვნებაა თეატრალურ სფეროში.

მან დააფუძნა Théâtre de Complicité ლონდონში, 1983 წელს. აქედან მოყოლებული იგი მუშაობს ერთიდაიგივე ადამიანებთან (სცენოგრაფები, პროდიუსერები, მსახიობები, მწერლები, მენეჯერები, მათ შორის 25 წლიანი უწყვეტი თანამშრომლობა მწერალ ჯონ ბერგერთან, რომელიც გარდაიცვალა 2017 წელს) რადგან ღრმად სწამს, რომ ყველა ასპექტში თეატრი ერთ ენაზე უნდა ლაპარაკობდეს.

იგი არა მხოლოდ დიდი მწერლების პიესებს დგამდა, როგორებიც არიან: ბეკეტი, ბრეხტი, ბულგაკოვი, დიურენმატი, იონესკო, დანიილ ხარმსი, არტულ მილერი, ბრუნო შულცი, შექსპირი და რუზანტე - იგი თავადაც წერდა და ქმნიდა ორიგინალურ ტექსტებს. ადაპტირებული აქვს მრავალი ლიტერატურული ნაწარმოები. მაგალითად, მისი ადაპტაცია- „ოსტატი და მარგარიტა“(2012) ავინიონის ფესტივალის 2012 წლის გამოშვების მთავარი მოვლენა იყო. მან გაუკეთა ასევე ადაპტაცია და შემგდომში დადგა შტეფან ცვაიგის „მოუთმენლობა გულისა“, ბერლინის შაუბიუნეს ანსამბლთან თანამშრომლობით.

ბოლო 20 წლის მანძილზე მისი შემოქმედება მუდმივად უბრუნდებოდა პოლიტიკურ, სოციალურ და ფილოსოფიურ კითხვებს. მის სპექტაკლებში კომპლექსური იდეები არის შესწავლილი და გამოვლენილი უძველესი თეატრალური ფორმების გამოყენებიდან, თანამედროვე ტექნოლოგიებამდე.

მაკბერნისა და მისი კომპანიის მუშაობამ, სადაც იგი თავად გახლავთ სამხატვრო ხელმძღვანელი, გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ბრიტანულ თეატრზე ბოლო 30 წლის განმავლობაში, არამედ იქცა შთაგონების წყაროდ ბევრი ხელოვანისთვის მსოფლიოს გარშემო. უამრავ ჯილდოებს შორის, მას აქვს მიღებული Yomiuri-ის პრესტიჟული ჯილდო (იაპონია), 2011 წელს; იგი პირველი უცხოელი იყო ვინც ეს ჯილდო მიიღო. მაკბერნი წევრია ავინიონის ფესტივალის არტისტული საზოგადოებისა. არის საპატიო დოქტორი რამდენიმე უნივერტიტეტში, მათ შორის: Lund, შვედეთში, ლონდონის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტში და კემბრიჯში.